ქ. თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №12 და საქანელას ჭუჩის მიმდებარედ (ს/კ 01.15.04.003.048; 044; 008; 005; 013; 024; 006) მრავალფუნქციური კომპლექსი.

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი.

საყრდენი კედლების მოწყობა.

მუშა პროექტი

დაამუშავა: /ლ.მექვაბიშვილი/

ქ. თბილისი 2026 წელი

განმარტებითი ბარათი

1. საერთო ნაწილი

ა. სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტის დამუშავების საფუძვლად დაედო შემდეგი მონაცემები:
- დავალება პროექტირებაზე;
- პროექტით მიღებული არქიტექტურული და კონსტრუქციული გადაწყვეტები
- მშენებლობის რაიონის სიტუაციური გეგმა;
- გეოდეზიური გეგმები და პროფილები;
- გაოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური გამოკვლევების მონაცემები;

ბ. სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი შესრულებულია მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესებისა და სახელმწიფო სტანდარტების (მათ შორის ხანძარფეთქებადი უსაფრთხოების) შესაბამისად.

2. მშენებლობის პირობების და სამშენებლო ობიექტის დახასიათება.

ტერიტორია,სადაც უნდა აიგოს საპროექტო საყრდენი კედელი, მდებარეობს ქ. თბილისის ზვიად გამსახურდიას სანაპირო №12 და საქანელას ქუჩის მიმდებარედ (ს/კ 01.15.04.003.048; 044; 008; 005; 013; 024; 006).
ქ. თბილისის გეოლოგიური საფრთხეების რუკის მიხედვით, სამშენებლო ტერიტორიის დასავლეთ ნახევარი მოქცეულია მაღალი საშიშროების რისკის არეალში, ხოლო აღმოსავლეთი ნახევარი დაბალი საშიშროების რისკის არეალში.
ტერიტორიის ფარგლებში არსებული შენობა-ნაგებობები ძირითადად დანგრეულია, მხოლოდ მის სამხრეთ ნაწილში არსებობს 2 სართულიანი კერძო საცხოვრებელი სახლი, დასავლეთ ნაწილში 5 სართულიანი საცხოვრებელი სახლი, სადაც განთავსებულია ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი და სამხრეთ ნაწილში ახლად აშენებული სასტუმრო „კარუსელის“ შენობა.
ტერიტორია აგებულია ზედა ეოცენის (P_{23}) ძირითადი ქანებით და მათი მფარავი ალუვიური (αQ_{IV}) მსხვილნატეხოვანი, დელუვიურ-პროლუვიური (dpQ_{IV}) თიხოვანი და ტექნოგენური (tQ_{IV}) გრუნტებით.
ტერიტორიის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობს
4 სახესხვაობის გრუნტი:
1. ტექნოგენური (tQ_{IV}) გრუნტი;
2. თიხოვანი (dpQ_{IV}) გრუნტი;
3. მსხვილნატეხოვანი (αQ_{IV}) გრუნტი;
4. ძირითადი ქანები (P_{2^3}).

ფენა 1 - ტექნოგენური გრუნტი გავრცელებულია თითქმის მთელ ტერიტორიაზე და წარმოდგენილია კენჭების, ღორღის, ცალკეული ლოდების, სამშენებლო ნაგვის და თიხოვანი გრუნტების ნარევით. ნაყარი სუსტად შეკავშირებულია, არაერთგვაროვანია, ჭარბობს თიხოვანი გრუნტი და გავრცელებულია მიწის ზედაპირიდან 1,2–6,0 მ-ის ფარგლებში.
ფენა 2 - თიხოვანი გრუნტი წარმოდგენილია ძნელპლასტიკურიდან ნახევრადმყარამდე კონსისტენციის ღია ყავისფერიდან-ყავისფრამდე თიხნარებით, წვრილი ღორღის და ხვინჭის ჩანართებით 15%-მდე. თიხნარები

გავრცელებულია ნაყარი გრუნტის ქვეშ თითქმის ყველგან, ერთეული უბნების გარდა და მათი სიმძლავრე ცვალებადობს 1,5–7,4 მ-ის ფარგლებში.

ფენა 3/ - ქვიშნარის ფენა (ფენა 3 რიხით 1,20 მ) აღინიშნება მხოლოდ №5 ჭაბურღილში.

ფენა 3 - მსხვილნატეხოვანი გრუნტი წარმოდგენილია სხვადასხვა ფრაქციის (3–5 სმ)უმთავრესად თიხნარის 30%-მდე შემავსებლიანი კენჭნაროვანი გრუნტით.

კენჭნარები გავრცელებულია ტერიტორიის უმეტეს ნაწილში უმთავრესად თიხნარების ქვეშ და მათი სიმძლავრე 0,4 მ-დან 2,1 მ-მდეა. ზოგან კენჭნარები ფიქსირდება ნაყარი გრუნტის ქვეშ, ზოგან გადარეცხილია და არ არის გავრცელებული.

ძირითადი ქანები წარმოდგენილია თიხოვანი ქვიშაქვების და არგილითების მორიგეობით და მათი ეროზიული ზედაპირი გახსნილია ყველა ჭაბურღილით, მიწის ზედაპირიდან 3,8–11,0 მ-ის სიღრმის ფარგლებში. ზოგან ძირითადი ქანები გამოვლინდა შურფებითაც, კერძოდ სამშენებლო ტერიტორიის დასავლეთი საზღვრის გასწვრივ არსებული საყრდენი კედლის ფუძეში.

ძირითადი ქანების ზედა ფენა, სიმძლავრით 0,5–2,8 მ-მდე ძლიერ გამოფიტულია, რომელიც დაფიქსირებულია სს „საქქალაქმშენპროექტის“ მიერ, 2006 წელს ჩატარებული კვლევებისას და იგი გამოყოფილია, როგორც ფენა 4.

სიღრმეში ქანების გამოფიტულობა თანდათან მცირდება და ქანები ნაკლებად გამოფიტულია (ფენა 5).

ჰიდროგეოლოგიური პირობების მხრივ ტერიტორია ხასიათდება გრუნტის წყლების გავრცელებით, რომლებიც გენეტიკურად წარმოადგენს ატმოსფერული ნალექების შედეგად ინფილტრაციის შედეგს. არ გამოირიცხება მათი კვება ძირითადი ქანების ნაპრალოვანი და კომუნიკაციური წყლებით.

ტერიტორიის ფარგლებში გრუნტის წყლები დაფიქსირებულია სხვადასხვა წლებში ჩატარებული ყველა კვლევების დროს. კერძოდ 2006 წელს სს „საქქალაქმშენპროექტის“ მიერ ჩატარებული კვლევებისას გრუნტის წყლები დაფიქსირებულია მიწის ზედაპირიდან 2,5–9,0 მ-ის სიღრმის ფარგლებში, რომელთა დონეები დამყარებულია იმავე სიღრმეებზე. 2019 წელს შპს „თირის“ მიერ ჩატარებული კვლევებისას დაფიქსირებულია მხოლოდ დამყარების დონეები მიწის ზედაპირიდან 4,0–8,8 მ-ის სიღრმის ფარგლებში. 2021 წელს შპს „გლობუსის“ მიერ ჩატარებული კვლევებისას გრუნტის წყლის გამოვლინების დონეები დაფიქსირებუ ლია მიწის ზედაპირიდან 5,5–8,5 მ-ის სიღრმის ფარგლებში, ხოლო დამყარების დონეები დაფიქსირებულია უფრო ღრმად 6,0–11,0 მ-ის სიღრმის ფარგლებში.

დამუშავების სიძნელის მიხედვით, სამშენებლო ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტები სნ და წ IV-2-82-ის I-I ცხრილის თანახმად, მიეკუთვნებიან:
ა) ნაყარი გრუნტი (ფენა 1) – სამივე სახეობით დამუშავებისას (ერთციცხვიანი ექსკავატორით, ბულდოზერით, ხელით) – II ჯგუფს, სიმკვრივით 1800 კგ/მ3 (რიგ. №24ა);
ბ) თიხნარი (ფენა 2) – სამივე სახეობით დამუშავებისას – II ჯგუფს, სიმკვრივით 1890 კგ/მ3 (რიგ. №33ვ);
გ) კენჭნარი გრუნტი (ფენა 3) – სამივე სახეობით დამუშავებისას – III ჯგუფს, სიმკვრივით 1950 კგ/მ3 (რიგ. №6ვ);
დ) ძირითადი ქანი – ძლიერ გამოფიტული (ფენა 4) – ხელით დამუშავებისას – Vp ჯგუფს, სიმკვრივით 2000 კგ/მ3 (რიგ. №28ა).

სეისმური დარაიონებით ქ.თბილისი მიეკუთვნება 8 ბალიან ზონას. სამშენებლო მოედნის მფლობელის სუვილით, ტერიტორიაზე უნდა აიგოს მრავალფუნქციური კომპლექსი, რომელიც შედგება 7 მრავალსართულიანი შენობისგან. ტერიტორიაზე აგრეთვე უნდა აიგოს სატრანსფორმატოროს შენობა. ვინაიდან სამშენებლო მოედნის მიწის ზედაპირის დონეთა სხვაობა საკმაოდ დიდია, რათა იყოს აცილებული ქვაბულის კედლების ჩამოშლა, გადაწყდა ქვაბულის გასწვრივ მოეწყოს საყრდენი კედლები (ხიმინჯების რიგი),როგორც ქვაბულის ფერდების გამაგრების ღონისძიება – ქვაბულის ფერდების იმ ნაწილებში სადაც ფერდის მოჭრა ხორციელდებავერტიკალურად ხიმინჯების ფარდისგამოყენებით, ხიმინჯები შეკრულია როსტვერკით, რომლებიც საჭიროების მიხედვითჩაანკერებულია დამატებით გრუნტში Ø200 მმ ანკერებით მაქსიმუმ 24 მ და მინიმუმ 21 მ სიღრმეზე. ხიმინჯები დიამეტრით Ø1200 მმ, ბიჯი 1400 მმ და ხიმინჯი დიამეტრით 600 მმ, ბიჯი 700 მმ – არმირებული. ხიმინჯები როგორც აღინიშნა შეკრულია როსტვერკით, რომელთა კვეთი შეადგენს 1300 × 1000 მ და 600 × 500 მმ. ხიმინჯების სირღმე ცვალებადია, მერყეობს 9 -:- 24 მ-ის ფარგლებში, ძირითად ქანში მინიმუმ 2 მ.

აგრეთვე მოწყობილია სექციური კედელი სექციის სიმაღლე 1000 მ და კედლის სისქე 600 მმ, რომელიც ხიმინჯების რიგთანაა დაკავშირებული და ხიმინჯებთან ერთად იკვრება როსტვერკით 1600 × 1000 მ.
ხიმინჯების თავი დამაგრებულია გრუნტის ანკერების - ანკერები – DYWIDAG permanent anchor 0.6" St 1700 Mpa, ცვალებადი სიგრძის 21 და 24 მ, დიამეტრით 200 მმ; გამოყენებით

კონსტრუქციულად ხიმინჯები გადაწყვეტილი ნაბურღ-ნატენი დაყრდნობილი ძირითად ქანზე,

3. სამშენებლო მოედნის ორგანიზაცია

ა. სამშენებლო მოედნის ორგანიზაცია გულისხმობს სამშენებლო წარმოების მომზადებას საინჟინრო თვალსაზრისი სნ და წ 3.01.01-85 §1 და §2 დებულებე-ბის გათვალისწინებით.
ბ. ახალი მშენებლობის დაწყების წინ საქალაქო არქიტექტურულ-დაგეგმარებითი სამსახურის სპეციალისტებთან ერთად სრულდება ტოპო-გეოდეზიური სამუშაოები შენობების მიბმითა და ღერძების დაკვალვით, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს სნ და წ 3.01.01-84 და სახსტანდარტის 24846-84 მოთხოვნილებებს.
გ. წინა პუნქტში დაქვემდებარებულ სამუშაოთა შესრულების შემდეგ სამშენებლო მოედანს საჭიროა შემოევლოს დროებითი ხის ან მავთულბადოვანი ღობე, როგორც ეს რეკომენდირებულია სამშენებლო გენგეგმაზე.

დ. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას აუცილებელია უსაფრთხოებისა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვა. ამ მიზნით მუშა-მოსამსახურეებზე უნდა ჩატარდეს ინსტრუქტაჟი გამოცდების ჩატარებით.

ე. წარმოდგენილი მოპ-ი მოცულობითა და შინაარსით შეესაბამება სნ და წ 3.01.03-85, §1.13 მოთხოვნილებებს საქალაქო განაშენიანებაში სამუშაოთა წარმოების თაობაზე.

4. სამუშაოთა წარმოების წესები და მეთოდები

მიწის სამუშაოები.

4.1.სამუშაოების შესრულების ტენოლოგია და ორგანიზება.

პირველ ეტაპზე უნდა განხორციელდეს 1200მმ და 600 მმ დიამეტრის ხიმინჯების მოწყობა. ხიმინჯები ჩაანკერებული უნდა იყოს გამოუფიტავი კლდოვან ქანებში

შემდეგ ხდება ხიმინჯების შეკვრა მონოლითური რკინა-ბეტონის რანკოჭის ზომით 1300 × 1000 მმ და 600 × 500 მმ მეშვეობით.

მეორე ეტაპზე უნდა განხორციელდეს გარკვეულ სექციებად გრუნტის ეტაპობრივი მოჭრა და წინასწარ დაძაბული წნევით ინექცირებული გრუნტის ანკერების მოწყობა ისე, როგორც ეს ნახაზებშია ნაჩვენები.

1200მმ და 600მმ დიამეტრის ხიმინჯებში გამოყენებულია სიმტკიცის მიხედვით B25კლასისა მარკის ბეტონი. ხიმინჯების

არმირებისათვის კი გამოყენებულია A500C და A240C კლასის არმატურები.

გრუნტის ანკერებში გამოყენებული უნდა იქნას არანაკლებ 400 მარკის ცემენტი;

ინექცირებისას ცემენტის „დუღაბში„ წყალცემენტის თანაფარდობა მიღებული იქნას 0,45-0,55-ის ფარგლებში; ანკერების მოჭიმვა განხორციელდეს მას შემდეგ როცა ცემენტის ქვის სიმტკიცე მიაღწევს 20 მპა.

გრუნტის ანკერებში გამოყენებულია მაღალი სიმტკიცის ღეროვანი არმატურა.

5. სამუშაოთა წარმოების წესები და მეთოდები

მშენებლობის ორგანიზაცია და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმართვა უნდა მოხდეს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისობით.

ბურღნატენი ხიმინჯები მოეწყოს აპრობირებული მეთოდით გრუნტის გასაბურღი მოწყობილობების გამოყენებით სნ და წ 3.02.01-83 §8 მოთხოვნების და დებულებების მკაცრი დაცვით. ჭაბურღილების დაბეტონება შესაძლებელია დაწნევის მეთოდით ბეტონის პომპის გამოყენებით.

ანკერების მოწყობის ტექნოლოგია გარსაცმი მილის ჩაშვების მბრუნავი ბურღვის საშუალებით და ნაშალის ამოღებით გარსაცმი მილის მეშვეობით:

ა) ჭაბურღილის ბურღვა;

ბ) ჭაბურღილში ზოლურას ჩაყენება საიზოლაციო გარცმით მილის შიგნით

გ) ინტერვალური დაწყებული ძირიდან ცემენტის ხსნარის დაწნევა ანკერის მოწყობის ზონაში გარსაკრავი მილების მეშვეობით მათი ამოღებით

0,5 მეტრით .

დ) გარსაკრავი მილების მთლიანი ამოღება ჭაბურჭილის შევსებით ცემენტის ხსნარით;

ე) საკონტროლო ან მიმღები გამოცდა (ცემენტის ხსნარის საპროექტო სიმტკიცის მიღების შემდგომ)და ანკერის ბლოკირება სამშენებლო კონსტრუქციაზე.

ანკერების მოწყობის საერთო მითითებები:

1. კონსტრუქციული ნაკეთობები და მასალები, რომლების გამოყონება ხდება ანკეტების დამზადებისას და მოწყობისას უნდა იყვნენ შესაბამისობაში პროექტთან და ტექნიკურ პირობების მოთხოვნებთან.
2. ანკერების მოსაწყობი სამუშაოები უნდა იყვნენ შესრულებულნი მოქმედი სამშენებლო წესების და ნორმების შესაბამისად, ფარულ სამუშაოებზე აქტების შედგენით. აქტებში უნდა იყოს ასახული: საინიექციო ხსნარის შემადგენლობდა და რაოდენობა, ინიეცირების წნევა და ხარჯი ეტაპების მიხედვით, გრუნტის ფენების საზღვრები.
3. ანკერების ტრანსპორტირებისას, დასაწყობებისას, აწევისას და მონტაჟის დროს ისინი უნდა იყვნენ საიმედოთ დაცული დაზიანებისაგან.
4. ბურღვის პროცესში უნდა ხდებოდეს კონტროლი გრუნტის ფენების შესაბამისობის ნამდვილი და საპროექტო განლაგების შესაბამისობის.
5. არმატურის ჩაშვების დროს ჭაბურღილი უნდა გაიწმინდოს შლამისგან.
6. კლდოვან გრუნტებში ანკერების მოწყობამდე ჭაბურღილი გამოიცადოს წყალგაუმტარობაზე.
7. ანკერის არმატურის ჩაშვება ჭაბურღილში ხდება მდოვრედ, გაკვრების გარეშე, არმატურის გადაბმა ხდება საკიდების მეშვეობით.
8. ანკერის ჩაშვების საპროექტო მდგომარეობამდე მონტაჟის შემდგომ ის უნდა ჩამაგრდეს ჩაბურღილის პირის ცენტრში. დახრილი ანკერის მოწყობისას ხდება ჭაბურღილების აღმავალი ცემენტაცია, მიმწოდებელი მილი უნდა იყოს ყოველთვის ჩაძირული ხსნარში.
9. საკონტროლო გამოცდა უტარდება პირველ 3 ანკერს გრუნტის ყოველ ახალ ფენას და ყოველ მე-10-ს შემდგომ მოწყობილ გრუნტის ფენაში.
10. მიმღები გამოცდა უნდა ჩაუტარდეს ყველა ანკერს გარდა საკონტროლო გამოცდის გავლილებს. ანკერების გამოცდა დასაშვებია მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ცემენტის ხსნარი მიიღებს საპროექტო სიმტკიცეს.
11. ყოველი ანკერის მზიდუნარიანობა უნდა იყოს შემოწმებული იქამდე სანამ ის დაიწყებს მუშაობას სამაგრ კონსტრუქციასთან ერთობრიობაში.

1.1 მიწის სამუშაოების დაწყებამდე აუცილებელია:

სამუშაოების ფრონტის მომზადება. სამშენებლო ტერიტორია უნდა გასუფთავდეს ნაგვისგან, ობიექტებისგან და ნივთებისგან, რომლებიც უშლიან მშენებლობას.

1.2 იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩენილი იქნა მიწისქვეშა კომუნიკაციები და ნაგებობები აუცილებელია მათი გადატანა სამშენებლო მოედნის ფარგლებს გარეთ.

1.3 დროებითი შენობა-ნაგებობების დაყენება,როგორც ეს რეკომენდირებულია გენგეგმაზე.

1.4 მშენებლობის მონაწილეების გაცნობა მშენებლობის წარმოების პროექტთან და უსაფრთხოების ზომების წესებთან.

1.5. კედლის კონტურის ირგვლივ დროებითი რეპერების დაყენება.

1.6. კედლის მონიშნული კონტური გამაგრდეს სარებით, რომელთა შორის იჭიმება თოკი.

- აქტით ფორმდება კედლის დაკვალვა.

2. ტექნოლოგიური კარტით გათვალისწინებულია სამუშაოების შემდეგი თანმიმდევრობა:

2.1 მიწის ზედაპირის დაგეგმარება სამშენებლო მოედნის ფარგლებში ბულდოზერების გამოყენებით.

2.2 გრუნტის დამუშავება ჰიდრავლიკური ექსკავატორით, აღჭურვილი უკუღმა ცაცხვით, ავტოთვითმცლელებზე დატვირთვით. კლდოვანი გრუნტები საჭიროებენ წინასწარ გაფხვიერებას ექსკავატორ-კოდალას მეშვეობით.

3.1 მიწის სამუშაოების განხორციელება უნდა წარიმართოს მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების შესაბამისად, სახელმწიფო სტანდარტების,შრომის უსაფრთხოების, ტექნიკური ექსპლუატაციის წესების და სხვა ნორმატიული დოკუმენტაციის შესაბამისად.

3.2 მიწის ზედაპირის საპროექტო დახრის უზრუნველსაყოფად,იგი უნდა იყოს დაგეგმარებული ექსკავატორის სავალი ნაწილის თავისუფალი გადაადგილებისთვის. მიწის ზედაპირის დაგეგმარება სრულდება ბულდოზერით,რომლის ტექნიკური მახასიათებლები წარმოდგენილია ცხრილი 1-ში.

კედლის მოწყობა.

ბურღნატენი ხიმინჯები მოეწყოს აპრობირებული მეთოდით გრუნტის გასაბურღი მოწყობილობების CASAGRANDE B300XP გამოყენებით სნ და წ 3.02.01-83 §8 მოთხოვნების და დებულებების მკაცრი დაცვით. ჭაბურღილების დაბეტონება უნდა მოხდეს დაწნევის მეთოდით ბეტონის პომპის გამოყენებით.

საბურღი დანადგარი **CASAGRANDE B**300**XP** ტექნიკური მახასიათებლები.

1. მაქსიმალური ბურღვის სიბრძე - 32 მ.
2. ხიმინჯის დიამეტრი - 600/800/900/1000/1200 მმ.

ცხრილი 1

ბულდოზერი ДЗ 110А ტექნიკური მახასიათებლები.	
სიმძლავრე კვტ (ცხ.ძალა)	125 (170)
მიწის ნაყარის სიგანე, მ	3,3
მიწის ნაყარის სიმაღლე, მ	1,3
მასა, ტ	18,5
გაბარიტული ზომები,მ	5,5x3,42x3,05
მაქს. წევითი სიმძლავრე კნ (ტს)	98 (10)

ექსკავატორების ტექნიკური მახასიათებლები:

უნივერსალური ექსკავატორი ჰიდრავლიკური ამძრავით მუხლუხა სვლაზე	ЭО-4121А,Б	ცაცხვის მოცულობა V=0.65მ3-1მ3 ცაცხვის ამოთხრის რადიუსი-9,2მ ამოთხრის სიმაღლე -7.5მ. ამოთხრის სიღრმე -5.8 მ მასა- 20ტ
ექსკავატორი ბაგირული მუხლუხა სვლაზე	ЭО-4111 Б,Г,Е	ცაცხვის მოცულობა V=0.8მ3 ცაცხვის ამოთხრის რადიუსი-7,91მ ამოთხრის სიმაღლე -7.9მ. მასა- 20ტ

დროებითი 0,3 მ სისქის მიწის გადამზიდავი გზები ეწყობა ხრეშისგან, მისი მოსწორებით ბულდოზერი Д3-110А-ს მეშვეობით და დატკეპნით პნევმომპტკეპნავის ДУ-16В გამოყენებით. დროებითი გზები მუდმივად უნდა იმყოფებოდნენ გამართულ მდგომარეობაში ავტოგრეიდერი Д3-31-1 გამოყენებით. 3.3. ქვაბულში მიწის დამუშავება ხორციელდება (მუშაობის 1 ცვლაში გათვალისწინებით) შემდეგი შემადგენლობით:

ექსკავატორის მემანქანე 6 ხარისხის - 1
ბულდოზერის მემანქანე 6 ხარისხის - 1
პნევმომპტკეპნავის მემანქანე 6 ხარისხის - 1
ავტოგრეიდერის მემანქანე 6 ხარისხის - 1
ავტოთვითმცლელების მძღოლები III კლასის - 2

ცხრილი 2 - საკონტროლო ოპერაციების შემადგენლობა , დასაშვები გადახრა და კონტროლის მეთოდი

ტექნიკური მაჩვენებლები	დასაშვები გადახრები	კონტროლი(მეთოდი და მოცულობა)
1	2	3
1. ქვაბულის ფერდების და ქვაბულის ძირის მდგომარეობის კონტროლი	არ არის დასაშვები თავმოყრილი ფილტრაცია,გრუნტის ჩამოშლა და ფერდების ჩამოღვენთა.	ვიზუალური დათვალიერება ,ყოველდღიურად.
2. შენობა-ნაგებობების ჯდენის კონტროლი	ჯდენა არ უნდა აღემატებოდეს რაოდენობას, СНиП 2.02.01-83* მიხედვით.	ნიველირება მარკებით, დაყენებულით შენობა-ნაგებობაზე.
3. ქვაბულის ძირის ნიშნულის გადახრა საპროექტოსგან (გარდა კლდოვანი გრუნტებისა) ერთცალხვიანი ექსკავატორის შავი დამუშავების შემთხვევაში	ექსკავატორი ჰიდრავლიკური ამძრავისთვის +10სმ	აზომვითი,აზომვის წერტილები ყენდება შემთხვევითი მეთოდით,ერთ მიმღებ უბანზე არანაკლებ 10-სა.
5. წყალგადამყვანი არხების გრძივი დახრის სხვაობა საპროექტო რაოდენობიდან	არაუმეტეს ±0,0005	აზომვითი. ტრასის ნიველირება მონაკვეთებზე მოხვევებს შორის , მაგრამ არანაკლებ 50 მეტრისა.
6. ქვაბულის ძირის ნიშნულების სხვაობა საპროექტოსგან, საძირკვლების მოწყობის ადგილებში.	± 5 см	გაზომვითი,ქვაბულის ცენტრში და კუთხეებში,შნობის ღერძების გადაკვეთებზე, ნიშნულების სხვაობის ადგილებზე,მაგრამ ბიჯით არანაკლებ 50მდა არანაკლებ 10 აზომვის მიმღებ უბანზე.

7. ამოღებული გრუნტის სახესხვაობა	უნდა იყოს შესაბამისი საპროექტოსთან.დაუშვებელია გამორეცხვა,დარბილება,გაფხვიერება,გაყინვა გრუნტის ზედა ფენის სისქით 3სმ მეტი.	საფუძვლის ზედაპირის მთლიანი ტექნიკური დათვალიერება. Т
8. დაგეგმარებული ზედაპირის დახრის გადახრა საპროექტოსგან	არ უნდა აღემატებოდეს ±0,001	ვიზუალური (ატმოსფერული ნალექების მოძრაობის თვალთვალი) ან აზომვითი ბადით 50´ 50 მ

მანქანა-მექანიზმები,დანადგარები,ინსტრუმენტები და მოწყობილობები.

ცხრილი 4

დასახელება	ტიპი	მარკა	რაოდენობა, ცალი.				ტექნიკური მახასიათებლები
			1				
ექსკავატორი	ერთცაცხვიანი ჰიდრავლიკური მუხლუხა სვლაზე	Э0-4121Б	1				ცაცხვის მოცულობა 1,0მ^3
ექსკავატორი	ერთცაცხვიანი მუხლუხა სვლაზე	Э0-4111В	-				ცაცხვის მოცულობა 0,65მ^3
ბულდოზერი	ტრაქტორზე კლასზე 10 ტ	Д3-110А	1				ტრაქტორი Т.130.1.Г-1. ნაყარის სიგრძე 3220 მმ
ავტოგრეიდერი	თვითმავალი	Д3-31-1 ГОСТ 9420-79	1				ძრავის სიმძლავრე 96 კვტ. ნაყარის სიგრძე 3700 мм
მპტკეპნავი	პნევმოსვლაზე	ДУ-16В	1				МоАЗ-546А. მასა 25,9 ტ. სიგანე დასატკეპნი ზოლის 2620მმ.
ავტომობილი-თვითმცლელი	სამხიდიანი	КамАЗ-5511	2				ტვირთამწეობა 10 т
ტეოდოლიტი		Т-15	1				
ნიველირი		Н-10	1				
ნიველირის ლარტყა		РН-10	2				
გეოდეზიური მოწყობილობა	სტანდარტული		2				
რულეტკა	სტანდარტული	РС-20	1				

5. უსაფრთხოების ტექნიკა

ა. უცხო პირთა, აგრეთვე სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ მუშა-მოსამსახურეთა ყოფნა სამშენებლო მოედანზე დაუშვებელია.

ბ. მუშა-მომსახურე პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი მშენებლობაზე უსაფრთხოების ტექნიკის უზრუნველყოფის საკითხებზე, ასევე ტარდება გამოცდაც.

გ. სამუშაოთა წარმოების უწყვეტობისათვის და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად ასევე აუცილებელია მშენებლობის აღჭურვა განმარტებით ბარათში მოცემული ცხრილის მიხედვით, მანქანა-მექანიზმებით, ინსტრუმენტებით და დანადგარებით.
დ. მომუშავეეთა შრომის უსაფრთხოების ღონისძიებები უნდა იყოს დაცული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე თანახმად სნ და წ III-4-80 "უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში" და სხვა ნორმატიულ-საკა-ნონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით. მათგან ყურადღება მახვილდება შემდეგზე:
1. სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებებით.
2. ელექტრო უსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია სახსტანდარტში 12.1.013-88. ელექტროკარადა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში, ელექტროკაბელები, ელექტროსადენები და მოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.
3. ეი-ი-ეს თელასის ტექზედამხედველობის სამსახურთან შეთანხმებით ნებადართული სატრანფორმატორო ქვესადგურიდან უნდა მოხდეს სამწვერიანი ელექტროკაბელის შემოყვანა დახურულ კარადაში, მრიცხველის დაყენება, საიდანაც ძალოვანი და გასანათებელი სადენები გაიმართება მომხმარებლისაკენ.

6. სამუშაოების ხანგრძლივობის დადგენა

სამუშაოების მოცულობიდან და სირთულიდან გამომდინარე ვნიშნავთ მშენებლობის ხანგრძლივობას 18 თვე.

II – ძირითადი სამშენებლო მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებების მოთხოვნილებათა უწყისი

№	დასახელება	მარკა	რაოდ. ცალი	შენიშვნა
1.	საბურღი დანადგარი	casagrande B300XP	2	ბურღნატენი ხიმინჯების მოწყობა
2.	საბურღი დაზგა	СБА500	2	ანკერების მოწყობა
3.	ბეტონმრევი მიქსერი	RM500	4	ბეტონის მიწოდება
4.	ბეტონის ტუმბო	M16	2	ბეტონის მიწოდება
5.	ხსნარის მიმწოდებელი ტუმბო	ПГП	2	ხსნარის მიწოდება
6.	ანკერების დასაჭიმი აპარატი	CM537	2	ანკერების დაჭიმვა
7.	ელ.შემდუღებელი	EBC-500-1	4	საარმ. სამუშაოები
8.	ელ.ვიბრატორი	ИВ-27	4	ბეტონის სამუშაოები
9.	თვითმცლელი, ძარიანი და		4	სატრანსპორტო

	სპეცავტოტრანსპორტი სხვადასხვა სამშ. ტვირთის შემოსატანად			სამუშაოები

III – გამოყენებული ლიტერატურა

СНиП III-4-80 Техника безопасности в строительстве
СНиП 3-02-01-87 Земляные сооружения
СНиП 3-01-01-85 Организация строительного производства
СНиП РН-73 Расчетные нормативы

IV. მშენებლობის წარმოების გრაფიკი

	სამუშაოთა ჩამონათვალი	დღე	I თვე			II თვე			III თვე			IV თვე			V თვე			VI თვე			VII თვე			VIII თვე			IX თვე			X თვე			XI თვე			XII თვე			XIII თვე			XIV თვე			XV თვე			XVI თვე			XVII თვე			XVIII თვე		
			10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30
	I რიგი – მშენებლობის განხორციელების მოსამზადებელი სამუშაოები																																																						
1	მოსამზადებელი სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან სამშენებლო მოედნის მოწესრიგებასთან	20																																																			
2	მიწის დონეების მოსწორება ხიმინჯების თავის დონეზე	40																																																			
3	შენობა-ნაგებობების გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება	10																																																		
	II რიგი – მშენებლობის განხორციელების ძირითადი სამუშაოები																																																			
4	შენობა №1 მიმდებარედ მონოლითური რკინა-ბეტონის ბურღნატენი ხიმინჯების მოწყობა. ხიმინჯების ჯგუფი 1	90																																																			
5	შენობა №1 მიმდებარედ მონოლითური რკინა-ბეტონის ბურღნატენი ხიმინჯების მოწყობა ხიმინჯების ჯგუფი 2	80																																																			
6	შენობა №3 მიმდებარედ მონოლითური რკინა-ბეტონის ბურღნატენი ხიმინჯების მოწყობა. ხიმინჯების ჯგუფი 3	70																																																			
7	შენობა №3 მიმდებარედ მონოლითური რკინა-ბეტონის ბურღნატენი ხიმინჯების მოწყობა. ხიმინჯების ჯგუფი 4	60																																																			
8	შენობა №4-5 მიმდებარედ მონოლითური რკინა- ბეტონის ბურღნატენი ხიმინჯების მოწყობა. ხიმინჯების ჯგუფი 5	60																																																			
9	მონოლითური რკინა-ბეტონის რანდკოჭების და კედლის მოწყობა	50																																																			
10	მიწის ფენა-ფენა მოჭრა წინასწარდაძაბული ანკერების მოწყობით	60																																																		

დაამუშავა *ლ.მექვაბიშვილი*

სამშენებლო გენ.გეგმა



საბურღი დანადგარი ჩAშAGეANDE B300 XP

1. მაქსიმალური ბურღვის სიღრმე - 32 მ.
2. ხიმინჯის დიამეტრი - 600/800/900/1000/1200 მმ.

საბურღი დაზგა ანკერების
ჭაბურღილების მოსაწყობი ჩBA-500
1. მაქსიმალური ბურღვის სიღრმე - 50 მ.
2. ჭაბურღილის დიამეტრი - 151-:-250 მმ.
3. ბურღვის კუთხე ვერტიკალთან - 45
4. ძრავის სიმძლავრე - 22 კვტ.
5. გაბარიტული ზომები:
სიგრძე - 167 სმ.
სიგანე - 113 სმ.
სიმაღლე 162 სმ.
მასა - 1,32 ტ.
ხსნარის ტუმბო PGე
1. წარმადობა - 18,0;13,5 მ/სთ.
2. წნევა - 5,0;6,3 მპა.
3. ძრავის სიმძლავრე - 35 კვტ.
4. გაბარიტული ზომები:
სიგრძე - 187 სმ.
სიგანე - 99 სმ.
სიმაღლე - 151 სმ.
ანკერების დასაჭიმი დანადგარი ჩM-537
1. მაქსიმალური გაწევის ძალა - 560 კნ.

ბეტონის ტუმბო M-16
ტექნიკური მახასიათებლები

1. ანწევის სიმაღლე - 16,0 მ.
2. სიჩქარე - 60 მ3/სთ
3. მობრუნების კუთხე - 360
4. წნევა - 120მპა

ექსპლუატაცია
1. საპროექტო საყრდენი კედელი
2. საბურღი დანადგარი
3. დროებითი ღია სანყობი
4. სამუშაოთა მწარმოებლის ოთახი
5. ბიოტუალეტი
6. დროებითი გადახურული შემოღობა
7. დროებითი ჭიშკარი
8. გამშვები პუნქტი

პირობითი აღნიშვნები

- დროებითი შენობა-ნაგებობები
- სამშენებლო ტექნიკის მოძრაობის მიმართულება
- დროებითი გადახურული შემოღობა
- საპროექტო ხიმინჯი



დროებითი გაჯახურული ღობის მოწყობის სქემა



დროებითი ღობე

დროებითი ღობის ქუდი

წითელი ხაზები

საყრდენი კედელი (ხიმინჯების ფარდა)

მისამართი: მისამართი: ქ. თბილისი, ზუისა გამახურვალის სასაპირო #12 და საკმელის ქუჩის მიმდებარედ (ს/კ 01.15.04.003.048; 044; 008; 005; 013; 024; 006)	
DRAWING TITLE ნახაზის სახელწოდება:	სამშენებლო გენ.გეგმა
REVISION: რევიზია:	FORMAT: ფორმატი: A3
დაშენება:	Format: ფორმატი:
V.M	SHEET NO: ნახაზის სახელწოდება:
	მოპ - 1

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01261403081**
გაცემის თარიღი: **21/05/2026**

ადრესატი: შპს საქანელა დეველოპმენტ
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404718873
მისამართი: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, მოედანი რესპუბლიკა

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და ,,ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსებაზე თანხმობის გაცემის, აღნიშნული სამუშაოების საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემით ან სქემის გარეშე წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 22 ნოემბრის №46-87 დადგენილების შესაბამისად, გაცნობებთ:

1. დაკმაყოფილდეს განმცხადებლის წერილობითი თხოვნა და მიეცეს თანხმობა მოაწყოს ქ. თბილისში, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N12-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დროებითი ღობე, დანართში მონიშნულ სავარაუდო მონაკვეთზე, შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის შესაბამისად, უსაფრთხოების და ტექნიკური ნორმების სრული დაცვით, ტერიტორიაზე განთავსებული მწვანე ნარგავებისა და ხაზობრივი ნაგებობების დაუზიანებლად. სამუშაოების დასრულებისთანავე მუნიციპალიტეტის ტერიტორია მოყვანილ იქნას პირვანდელ მდგომარეობაში.

2. საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები შეთანხმებულია იმ პირობით, რომ სამშენებლო ტექნიკა იმოძრავებს მოქმედი სამართლებრივი დადგენილი წესით.

სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში, საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემის მიხედვით გათვალისწინებული საგზაო ნიშნები უნდა განთავსდეს მოძრავ დგარზე, რათა არ დაზიანდეს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა. ამასთან, განსათავსებელი დროებითი საგზაო ნიშნები დამზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტების შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოებისათვის საჭირო დროებითი და არსებული საგზაო ნიშნები ეწინააღმდეგება/ხელს უშლის ერთმანეთს, საჭიროა უკვე არსებული საგზაო ნიშნები შეიფუთოს, ხოლო სამუშაოს დასრულებისთანავე დემონტაჟი უნდა გაუკეთდეს დროებით დამონტაჟებულ საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკურ საშუალებებს და ქუჩის სავალი ნაწილი (ყველა შეფუთული ნიშნის ჩათვლით) მოყვანილი იქნას პირვანდელ მდგომარეობაში.

დამატებით გაცნობებთ, რომ თუ მშენებლობის პერიოდში, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, ხორციელდება სხვა სამშენებლო სამუშაოები და დროებითი საგზაო ნიშნები, რომლებიც განთავსებულია სხვა, ნებართვის მქონე, შემსრულებელი კომპანიის მიერ და კვეთს/ეწინააღმდეგება თქვენს მიერ დასამონტაჟებელ საგზაო ნიშნებს, დროებითი საგზაო ნიშნები დაიტანოთ საჭიროებისამებრ და აუცილებლობის შემთხვევაში, სამუშაოები განახორციელოთ უკვე განთავსებული დროებითი საგზაო ნიშნების გამოყენებით. ხოლო, სხვა შემსრულებლის მიერ, სამუშაოების დასრულებისა და ნიშნების დემონტაჟის შემთხვევაში, უზრუნველყოთ თქვენი საგზაო ნიშნების სრულად მონტაჟი, მოცემული პირობების შესაბამისად.

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის ცვლილება საჭიროებს შეთანხმებას სააგენტოსთან.

ასევე გაცნობებთ, რომ საჭიროების შემთხვევაში, სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო იტოვებს უფლებამოსილებას, მოითხოვოს სამუშაოების პერიოდში არსებული სიტუაციის საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის ალტერნატიული ვარიანტის წარმოდგენა.

3. სამუშაოების დაწყებამდე, განმცხადებელმა უზრუნველყოს სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს გადაწყვეტილების და შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის წარდგენა ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში, შესათანხმებლად. საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა ძალაშია დაინტერესებული პირის მიერ სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან/ორგანოებთან შეთანხმების შემდგომ. იმ შემთხვევაში, თუ სააგენტოსთან შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემის პირობ(ებ)ი შეიცვლება სხვა ადმინისტრაციული ორგანო(ებ)ის მიერ, დაინტერესებული პირი ვალდებულია სააგენტოს მიმართოს შეცვლილი პირობ(ებ)ით საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემის

შეთანხმების მოთხოვნით, წინააღმდეგ შემთხვევაში საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა შეთანხმებულად არ ჩაითვლება.

4. აქტი ძალაშია მისი გაცნობიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადით.

დანართები იხილეთ თანდართულ ბმულზე :

https://cloud.tbilisi.gov.ge/index.php/s/EJHlVKVQz4chiOL

(ელექტრონული ფორმით გაცემული აქტის გაცნობისთვის დაინტერესებულ მხარეს განესაზღვრება ვადა - სააგენტოს მიერ აქტის გამოცემიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ოდენობით. თუ აღნიშნულ ვადაში დაინტერესებული პირი აქტს არ გაეცნობა აქტი ითვლება ძალადაკარგულად.)

გადაწყვეტილების გასაჩივრება, კანონმდებლობით დადგენილი წესით, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია ამ გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ჟ. შარტავას ქუჩა N7)

მამუკა მუმლაძე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო-უფროსის მოადგილე

შენიშვნა:
- დროებითი ღობის კონტური დაზუსტდეს ადგილზე
- დროებითი ღობე განთავსდეს ისე რომ არ დააზიანოს მწვანე ნარგავები

შენიშვნა: სამშენებლო ღობე და ქოლგა მოაწყვეთ ისე, რომ ხელს არ უშლიდეს არსებულ ხე-მცენარეებს, ქვეითების სამოძრაოდ დარჩეს მინიმუმ 0.90 მეტრი და უზრუნველყოფილი იყოს მათი უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილება.

კვეთი 1-1



პირობითი ნიშნები:

დროებითი საგზაო ნიშნები:

T 7 ციმციმა 3 ცალი

1.26 2 - ცალი

სამშენებლო ტექნიკის მოძრაობის მიმართულება

ქვეითთა მოძრაობის მიმართულება

უსაფრთხოების ლენტი

სამშენებლო ღობის ქოლგა

სამშენებლო ღობე

3 კაცი

შენიშვნა:
სამშენებლო ტექნიკა იმოძრავებს მოქმედი სამართლებრივი დადგენილი წესით.

შენიშვნა:
სამშენებლო ტექნიკა იმოძრავებს არსებული შესასვლელით

ღობის გადმოხურვა მოეწყოს ისე რომ არ დააზიანოს განათების ბოძები

01.15.04.003.049

არსებული შესასვლელი

01.15.04.004.057

შენიშვნა:
ღობის მონტაჟი-დემონტაჟის სამუშაოები იწარმოებს არაუმეტეს 1 კვირისა.

შენიშვნა:
დროებითი სქემა შედგენილია "ოდმ 218.6.014-2014" და საქართველოს კანონის ,,საგზაო მოძრაობის შესახებ" მოთხოვნების შესაბამისად

1. გამაფრთხილებელი ზონის სიგრძე შეადგენს 50 მეტრს.
2. ბუფერულიზონა არ გვაქვს ვინაიდან სავალ ნაწილზე არ მიმდინარეობს სამუშაოები
3. სამუშაო ზონის სიგრძე გვაქვს 180 მეტრი
4. სავალი ნაწილის დახურული ზოლის სიგანე არ გვაქვს ვინაიდან სავალ ნაწილზე არ მიმდინარეობს საგზაო სამუშაოები
5. სამუშაოთა წარმოების ზონის სიგრძე არ გვაქვს ვინაიდან სავალ ნაწილზე არ მიმდინარეობს საგზაო სამუშაოები
6. მედროშეები უზრუნველყოფენ მცირე ტვირთმზიდი სატვირთო ავტომობილების მიმართულების განსაზღვრას

ქალაქ თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N12; საქანელას ქუჩის მიმდებარედ ს/კ 01.15.04.003.049 -ზე მშენებლობის პერიოდში საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა.

საკონტაქტო პირი: ერეკლე კერესელიძე ტელ: 597007944

დამკვეთი: შპს ,,საქანელა დეველოპმენტ"

ღობის მონტაჟი-დემონტაჟის პერიოდში საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01261343973**
გაცემის თარიღი: **14/05/2026**

ადრესატი: შპს საქანელა დეველოპმენტ
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404718873
მისამართი: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, მოედანი რესპუბლიკა

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და ,,ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსებაზე თანხმობის გაცემის, აღნიშნული სამუშაოების საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემით ან სქემის გარეშე წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 22 ნოემბრის №46-87 დადგენილების შესაბამისად, გაცნობებთ:

1. დაგმაყოფილდეს განმცხადებლის წერილობითი თხოვნა და მიეცეს თანხმობა განახორციელოს ქ. თბილისში, წვიად გამსახურდიას სანაპირო N12, საქანელას ქუჩის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამშენებლო ღობის მოწყობის მიზნით საჭირო სამუშაოები, დანართში მოხიშნულ სავარაუდო მონაკვეთზე, შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის შესაბამისად, უსაფრთხოების და ტექნიკური ნორმების სრული დაცვით, ტერიტორიაზე განთავსებული მწვანე ნარგავებისა და ხაზობრივი ნაგებობების დაუზიანებლად. სამუშაოების დასრულებისთანავე მუნიციპალიტეტის ტერიტორია მოყვანილ იქნას პირვანდელ მდგომარეობაში.

2. საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები შეთანხმებულია იმ პირობით, რომ სამშენებლო ტექნიკა იმოძრავებს მოქმედი სამართლებრივი დადგენილი წესით.

სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში, საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემის მიხედვით გათვალისწინებული საგზაო ნიშნები უნდა განთავსდეს მოძრავ დგარზე, რათა არ დაზიანდეს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა. ამასთან, განსათავსებელი დროებითი საგზაო ნიშნები დამზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტების შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოებისათვის საჭირო დროებითი და არსებული საგზაო ნიშნები ეწინააღმდეგება/ხელს უშლის ერთმანეთს, საჭიროა უკვე არსებული საგზაო ნიშნები შეიფუთოს, ხოლო სამუშაოს დასრულებისთანავე დემონტაჟი უნდა გაუკეთდეს დროებით დამონტაჟებულ საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკურ საშუალებებს და ქუჩის სავალი ნაწილი (ყველა შეფუთული ნიშნის ჩათვლით) მოყვანილი იქნას პირვანდელ მდგომარეობაში.

დამატებით გაცნობებთ, რომ თუ მშენებლობის პერიოდში, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, ხორციელდება სხვა სამშენებლო სამუშაოები და დროებითი საგზაო ნიშნები, რომლებიც განთავსებულია სხვა, ნებართვის მქონე, შემსრულებელი კომპანიის მიერ და კვეთს/ეწინააღმდეგება თქვენს მიერ დასამონტაჟებელ საგზაო ნიშნებს, დროებითი საგზაო ნიშნები დაიტანოთ საჭიროებისამებრ და აუცილებლობის შემთხვევაში, სამუშაოები განახორციელოთ უკვე განთავსებული დროებითი საგზაო ნიშნების გამოყენებით. ხოლო, სხვა შემსრულებლის მიერ, სამუშაოების დასრულებისა და ნიშნების დემონტაჟის შემთხვევაში, უზრუნველყოთ თქვენი საგზაო ნიშნების სრულად მონტაჟი, მოცემული პირობების შესაბამისად.

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის ცვლილება საჭიროებს შეთანხმებას სააგენტოსთან.

ასევე გაცნობებთ, რომ საჭიროების შემთხვევაში, სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო იტოვებს უფლებამოსილებას, მოითხოვოს სამუშაოების პერიოდში არსებული სიტუაციის საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის ალტერნატიული ვარიანტის წარმოდგენა.

3. სამუშაოების დაწყებამდე, განმცხადებელმა უზრუნველყოს სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს გადაწყვეტილების და შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის წარდგენა ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში, შესათანხმებლად. საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა ძალაშია დაინტერესებული პირის მიერ სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან/ორგანოებთან შეთანხმების შემდგომ. იმ შემთხვევაში, თუ სააგენტოსთან შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემის პირობ(ებ)ი შეიცვლება სხვა ადმინისტრაციული ორგანო(ებ)ის მიერ, დაინტერესებული პირი ვალდებულია სააგენტოს მიმართოს შეცვლილი პირობ(ებ)ით საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემის

შეთანხმების მოთხოვნით, წინააღმდეგ შემთხვევაში საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა შეთანხმებულად არ ჩაითვლება.

4. აქტი ძალაშია მისი გაცნობიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადით.

დანართები იხილეთ თანდართულ ბმულზე :

https://cloud.msda.ge/index.php/s/rB3p9i1O1BiKvc8

(ელექტრონული ფორმით გაცემული აქტის გაცნობისთვის დაინტერესებულ მხარეს განესაზღვრება ვადა - სააგენტოს მიერ აქტის გამოცემიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ოდენობით. თუ აღნიშნულ ვადაში დაინტერესებული პირი აქტს არ გაეცნობა აქტი ითვლება ძალადაკარგულად.)

გადაწყვეტილების გასაჩივრება, კანონმდებლობით დადგენილი წესით, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია ამ გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ჟ. შარტავას ქუჩა N7)

მამუკა მუმლაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და
ურბანული განვითარების სააგენტო-უფროსის მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

შენიშვნა:
- დროებითი ღობის კონტური დაზუსტდეს ადგილზე
- დროებითი ღობე განთავსდეს ისე რომ არ დააზიანოს მწვანე ნარგავები

შენიშვნა: სამშენებლო ღობე და ქოლგა მოაწყვეთ ისე, რომ ხელს არ უშლიდეს არსებულ ხე-მცენარეებს, ქვეითების სამოძრაოდ დარჩეს მინიმუმ 0.90 მეტრი და უზრუნველყოფილი იყოს მათი უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილება.

კვეთი 1-1



პირობითი ნიშნები:

დროებითი საგზაო ნიშნები:

T 7 ციმციმა 4 ცალი

1.26 6 - ცალი

სამშენებლო ტექნიკის მოძრაობის მიმართულება

ქვეითთა მოძრაობის მიმართულება

უსაფრთხოების ლენტი

სამშენებლო ღობის ქოლგა

სამშენებლო ღობე

1 კაცი

ღობის გადმოხურვა მოეწყოს ისე რომ არ დააზიანოს განათების ბოძები

არსებული შესასვლელი

01.15.04.003.049

01.15.04.004.057

შენიშვნა:
სამშენებლო ტექნიკა იმოძრავებს მოქმედი სამართლებრივი დადგენილი წესით.

შენიშვნა:
სამშენებლო ტექნიკა იმოძრავებს არსებული შესასვლელით

შენიშვნა:
დროებითი სქემა შედგენილია "ოდმ 218.6.014-2014" და საქართველოს კანონის ,,საგზაო მოძრაობის შესახებ" მოთხოვნების შესაბამისად

1. გამაფრთხილებელი ზონის სიგრძე შეადგენს 50 მეტრს.
2. ბუფერულიზონა არ გვაქვს ვინაიდან სავალ ნაწილზე არ მიმდინარეობს სამუშაოები
3. სამუშაო ზონის სიგრძე გვაქვს 720 მეტრი
4. სავალი ნაწილის დახურული ზოლის სიგანე არ გვაქვს ვინაიდან სავალ ნაწილზე არ მიმდინარეობს საგზაო სამუშაოები
5. სამუშაოთა წარმოების ზონის სიგრძე არ გვაქვს ვინაიდან სავალ ნაწილზე არ მიმდინარეობს საგზაო სამუშაოები
6. მედროშეები უზრუნველყოფენ მცირე ტვირთმზიდი სატვირთო ავტომობილების მიმართულების განსაზღვრას

ქალაქ თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N12; საქანელას ქუჩის მიმდებარედ ს/კ 01.15.04.003.049 -ზე მშენებლობის პერიოდში საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა.

საკონტაქტო პირი: ერეკლე კერესელიძე ტელ: 597007944

დამკვეთი: შპს ,,საქანელა დეველოპმენტ"

ღობის მონტაჟი-დემონტაჟის პერიოდში საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა